№ 23

ოთხშაბათი, 12 თებერვალი 1897 წ.

**ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲦᲘᲠᲡ:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომ —. — ერთი შაური.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ № 227.

1877 — 1897

# ᲘᲕᲔᲠᲘᲐ

№ 23

ოთხშაბათი, 12 თებერვალი 1897 წ.

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
ᲒᲐᲖᲔᲗᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲑᲐᲠᲔᲑᲚᲐᲓ
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

ფასი განცხადებისა:
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ᲘᲕᲔᲠᲘᲘᲡ“ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲜᲘ №227

## „ᲘᲕᲔᲠᲘᲐ“
გამოვა 1897 წელს
იმავე პროგრამმით, როგორც წინად.

ფასი გაზეთისა:

| | მ. | კ. | | | მ. | კ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| 12 თვით და 13 დღით | 9 | 60 | 6 | „ | 6 | „ |
| 11 „ | 9 | 50 | 5 | „ | 5 | 50 |
| 10 „ | 8 | 75 | 4 | „ | 4 | 75 |
| 9 „ | 8 | „ | 3 | „ | 3 | 50 |
| 8 „ | 7 | 25 | 2 | „ | 2 | 75 |
| 7 „ | 6 | 50 | 1 | „ | 1 | 50 |

საზღვარ-გარეთ დაბარებული 1898 წლის 1 იანვრამდე ღირება 17 მ.
ტფილისს გარეთ მცხოვრებთ უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით:
Тифлисъ. Редакція „Иверіа“.

ტფილისში ხელის მოწერა მიიღება „ივერიის“ რედაქციაში, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21 და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ კანცელარიაში, სასახლის ქუჩა, ქართვ. თავად-აზნაურთა ქარვასლაში.
თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმემ უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; ხოლო თუ ქალაქის გარეთიდამ სხვა ადგილს გადავიდა სადმე ქალაქს გარედვე—ორი აბაზი.
თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმე გაზეთი არა მთელის წლით, მას გაეგზავნება გაზეთი პირველ იმ თვიდამ, რომელსაც დამბარებელი აღნიშნავს.

**1896 წლის ხელის-მომწერთა საყურადღებოდ.**

ვისაც გაზეთი დაბარებული ჰქონდა 1896 წელს მთელის წლით, თუ ჰსურთ 1898 წლის პირველ იანვრამდე მიიღონ გაზეთი, უნდა წარმოადგინონ ოთხის თვის ფასი—3 მან. და 33 კაპ. (კაპეიკების მაგიერ შეიძლება ფოსტის მარკები გამოიგზავნონ). ხოლო ვისაც არა ჰსურს, იმას მიუვა გაზეთი შვიდის თვისა და ცამეტის დღის განმავლობაში 17 იანვრიდამ.
ვისაც 1896 წელში დაბარებული ჰქონდა გაზეთი რამდენისამე თვით იმათ შეუსრულდებათ დანაკლისი ნომრები 17 იანვრიდამ.

### ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

იმ ხელის-მომწერთ, რომელთაც ნახევარ წლით აქვთ დაკვეთილი გაზეთი შარშანდელ წლის პირველ იანვრიდგან, გაზეთის გზავნა მოესპობათ ამ წლის პირველს მარტს, რადგან შარშან ოთხი თვე და ჩვიდმეტი დღე მიღებული აქვთ გაზეთი და ეხლაც ერთის თვისა და ცამეტის დღის გაზეთი პირველ მარტამდე შეუსრულდებათ. ვისაც ჰსურს პირველ მარტიდამ ამ წლის დამლევამდე მიიღოს გაზეთი, უნდა გამოგზავნოს ათის თვის ფასი გაზეთისა 8 მან. 33 კაპ.

### ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲙᲐᲠᲒᲣᲚᲔᲑᲐᲜᲘ.

—

დანიშნულ იქმნენ: მღვდლის შვილი ერმილე ნაკაშიძე—ფოსტა-ტელეგრაფის კანტორის მოხელედ.

გადაყვანილ იქმნა: ფოსტის მოხელე ტრაფიმე ინასარიძე—ფოსტის მოხელედვე.

დათხოვნილ იქმნა სამსახურიდგან: ტფილისის ფოსტა-ტელეგრაფის ფოსტის მოხელე დავით პარუმიძე, თავისისავე თხოვნის თანხმად.

—+—

## ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

—

*** დღეს, ოთხშაბათს, ქართულს თეატრში დანიშნულია ბენეფისი ქართულის დრამატიულის დასის რეჟისსორისა და ნიჭიერის არტისტის ბ-ნ ვ. ს. ალექსი-მესხიშვილისა. ბ-ნი ალექსი მესხიშვილი იმ არტისტთაგანია, რომელსაც არა ერთხელ დაუტკბია ქართულს წარმოდგენებზედ მოსიარულენი თავისის ზომიერის, თავისის ნიჭიერის თამაშობით და უგემინებია საზოგადოებისათვის სწორედ ის ესტეტიური სიამოვნება, რომლის სამსახურადაც მოწოდებულია უმთავრესად სცენა, და ამიტომ, რაღა თქმა უნდა, რომ ქართველი საზოგადოება ჩვეულებრივად თანაგრძნობით მიეგებება ამ წარმოდგენას. პატივცემულს მობენეფისეს თავისს საბენეფისოდ ამოურჩევია როკკეტის ცნობილი პიესა: „უპატიოსნონი არ იბადებიან“, დრამა 3 მოქმ. დაჯილდოებული, და ორ მოქმედებიანი ვოდევილი კნ. ი. ბარათაშვილისა „შეცდომა“. ერთიცა და მეორე პიესაც ჩვენს სცენაზედ პირველად იქნება წარმოდგენილი, რაცა ამაღამინდელს წარმოდგენას უფრო მიმზიდველსა და საინტერესოსა ჰქმნის.

*** კნ. ელენე გურგენიძისა გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ მის მიერ წყალდიდობისაგან დაზარალებულთა სასარგებლოდ გუმბრში შეკრებილი ორმოცი თუმანი და ექვსი მანეთი წარუგზავნია ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურობის წინამძღოლის თ. წერეთლისათვის. ამასთანავე კნ. გურგენიძისამ წარმოგვიდგინა თვით დეპეშა თავ. წერეთლისა, რომლითაც იგი სწერს ქუთაისიდგან: „გულწრფელად გმადლობთ. 406 მ. მივიღეთ, იგი გამოცხადებული იქნება მაშინ, როდესაც ანგარიშს დავამთავრებთო“.

*** კავკასიის მთავარ-მართებლის თანამდებობის დროებით აღმასრულებელის, კავალერიის გენერალის თ-დის ი. გ. ამილახვარის თავ-მჯდომარეობით, კავკასიის სამხედრო შტაბის დარბაზში 8 თებერვალს მოხდა მეორე კრება კავკასიაში შავი ჭირის შემოტანის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მიღების შესახებ.

თავ-მჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ უკვე გავეცით განკარგულება, რომ სპარსეთის საზღვრებზედ, სახელდობ: ასტარისა, ბელიასუვარისა, ხუდაფერინსა, ჯულფსა და შაჰტახტში თვალ-ყურის სადევნებელ სადგურების დასაარსებლადო.

შემდეგ ბ-ნ გლავაცკიმ მოახსენა კრებას, რომ იმავე ადგილებში გაგზავნილია ექიმები, რომელთაც დავალებული აქვთ ყოველი ღონისძიება მიიღონ ამ სენის წინააღმდეგ და ყოველგვარი ცნობები შეგვატყობინონო.

ყარსის გენერალ-გუბერნატორმა გენერალ-ლეიტენანტმა ტომიჩმა მიაქცია კრების ყურადღება იმ გარემოებას, რომ კავკასიაში სამ გზის იყო შავი ჭირი და სამივეჯერ ოსმალეთის საზღვრებიდგან შემოვიდა იგი და არა სპარსეთიდგანო. ამის მიზეზად ბ-ნმა გუბერნატორმა ის დაასახელა, რომ ოსმალეთის საზღვრებზედ ყოველთვის ძალიან გვიან ხმარობენ საჭირო საკარანტინო ღონისძიებათაო. ამისათვის ოსმალეთის საზღვრებზედ ეხლავე უნდა დაარსდეს საექიმო სადგურებიო. კრებამ შეიწყნარა ბ-ნი ყარსის გუბერნატორის მოხსენება და გარდასწყვიტა: დაარსდეს ოსმალეთის საზღვარზედ ხუთი ასეთი სადგური: იგდირსა, კაგაურმანსა, ორჯოხასა, ოლთისსა და ყაგიზმანშიო. კასპიის ზღვის ნაპირებზედ დაარსებულია ასეთი სადგურები სერებრიაკოვისა და ბრიანსკის ნავთსადგურებში; კრებამ გარდაწყვიტა: ასეთივე სადაურები დაარსდეს აგრედვე: ლენქორანსა, ბაქოსა, დერბენდსა და პეტროვსკში. კრებამ აგრედვე აუცილებელ საჭიროდ იცნო ამ გვარის სადგურების დაარსება შავი ზღვის განაპირა ქალაქებში: ბათომსა, ფოთსა, სოხუმსა და ნოვოროსისკში. ამ საქმის გამო შუამდგომლობა დაავალა კრებამ კავკასიაში სამოქალაქო ნაწილის სამკურნალო მმართველობის გამგეს დ. ს. ს. პ. ა. გლავაცკის. ამასვე მიენდო აზიის ოსმალეთში ექიმთა გაგზავნის საქმე.

*** რადგან კახეთში ვენახებს სოკოს ავათმყოფობა მოერია, ამიტომ კავკასიის საფილოქსერო კომიტეტმა სამიწათ-მოქმედო სამინისტროს წინაშე დაიწყო შუამდგომლობა, რათა ხაზინამ იკისროს იმ ვენახების წამლობის ხარჯიც, რომელიც საუფლისწულო მამულებთან ახლო-მახლოა გაშენებულიო.

*** კავკასიის საფილოქსერო კომიტეტის მუდმივ წევრად სამიწადმოქმედო სამინისტროს მიერ, როგორც საუფლისწულო უწყების წარმომადგენელი, დანიშნულ იქმნა კავკასიის საუფლისწულო მამულების ინსპექტორი მარტინოვი.

*** გაზ. „ტიფ. ლისტ.“-ს პეტერბურგიდგან დეპეშით აუწყებენ, რომ რუსეთში შავი ჭირის შემოტანის საწინააღმდეგო ღონისძიებათა მისაღებად შავისა და აზოვის ზღვის ნაპირებზედ ამ დღეებში გაემართება კამისია ადმირალის შახოვსკის მეთაურობითო.

*** გორის მაზრის უფროსის უმცროსის თანაშემწის თანამდებობის აღმასრულებელი ზისერმანი თელავის მაზრის უფროსის თანაშემწეს თანამდებობის აღმასრულებლად დაუნიშნავთ.

*** რადგანც გორის მაზრაში, ძეგვინის, თეძამის და ტანის სარწყავ რაიონში ძალიან მცირეა სარწყავი მიწა, და მოხელეების ჯამაგირი კი მძიმე ტვირთად აწვება მცხოვრებლებს, ამიტომ კავკასიის წყლების ინსპექტორი შუამდგომლობს, რომ ეს რაიონები ერთად შეერთდეს და ამ შეერთებულს განყოფილებას ძეგვინის ოლქი დაერქვასო.

*** ამ დღეებში გზათა მინისტრმა განკარგულება მოახდინა თურმე, რომ შორაპნის სადგურზედ ვაგონებში ქვა-გუნდის შენახვის ვადა შემოკლებულ იქმნას სამის საათითაო.

*** როგორც ოფიციალურ ცნობებიდგან სჩანს, წელს 5 თებერვლამდე 20 გამხდარა ავად ქუნთრუშით. კვირას, 9 თებერვალს, ამ სენმა იჩინა თავი კარამოსკოს კერძო პანსიონში და ტფილისის კადეტის კორპუსში.

*** გაზ. „ს.-პეტ. ვედ.“-ი სწერს, რომ ამ ჟამად ფინანსთა სამინისტროს განზრახვა აქვს გამოსცეს ახალი ტარიფი კავკასიისა და იმიერ-კასპიის ზღვის რკინის გზებით მოგზაურთათვისაო.

*** კორჟანოვის ტრაქტირი სამკურნალო გამგეობის განკარგულებით, როგორც იქნა, დაჰკეტეს.

*** გაზ. „ლუჩ“-ი ამბობს, რომ საარქეოლოგიო საზოგადოების მუზეუმი ამ მოკლე ხანში საქართველოს ძველ ნაშთებს შეიძენსო. ეს ნაშთები ნუმიზმატებში ცნობილს ნამჩოკინს შეუძენია მთიულებისაგან. ამ საგნების განსახილველად და მისაღებად საარქეოლოგიო საზოგადოების წევრი ბეზსონოვი წავიდა კავკასიაშიო.

საყურადღებოა ვიცოდეთ, რა ნაშთებია ეს ნაშთები; იქნება ისეთი რამ არის, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენთა სიძველეთა გამომკვლევართათვის.

*** ტფილისის საბაღოსნო სასწავლებლის საბუნების-მეტყველო საგნების მასწავლებელს ბ-ნს შარონიანცს სამსახურისათვის თავი დაუნებებია და იმის ადგილზედ მიუწვევიათ ბატონი ავალიანი.

*** კიევის გუბერნიის ჟანდარმთა სამმართველოს უფროსის თანაშემწე როტმისტრი გამრეკლიძე ტფილისის რკინის გზათა ჟანდარმთა პოლიციის სამმართველოს ბაქოს განყოფილების უფროსად დაუნიშნავთ.

*** ქუთაისი: ამ ჟამად აქ ძლიერ ცუდი ამინდებია. თოვლ-ჭყაპი და ყინვები სდგას, მაგრამ ამას კიდევ გადურჩება კაცი, მაგარი ის არის, რომ ძლიერ მალე გაღმა-გამოღმელები ერთმანერთს უნდა გამოეთხოვნენ. ერთი ხიდი (თეთრი) დიდი ხანია, რაც დაკეტილია და ზედ აღარავის ატარებენ, ეხლა მეორე (წითელი) ხიდიც მალე დაიკეტება.

## ᲓᲐᲑᲐ ᲓᲐ ᲡᲝᲤᲔᲚᲘ

(მოწერილი ამბები)

**ᲝᲖᲣᲠᲒᲔᲗᲘ**, 2 თებერვალი. დღეს დაიწყო აქ მორიგი კრება გურიის საკუჭრო ამხანაგობის „შუამავალი“-სა. კრებას უნდა განეხილა შემდეგი საგნები: 1) ანგარიში „შუამავალის“ მოქმედებისა 1896 წელს; 2) „შუამავალის“ წესდების ზოგიერთ მუხლის შეცვლა და 3) არჩევანი სარევიზიო კამისიის ზოგიერთ წევრებისა.

კრებას დაესწრო 75 წევრი და ამას გარდა 72 წევრმა რწმუნების ქაღალდი წარმოადგინა. საზოგადოებამ კრების თავმჯდომარედ ერთ-ხმად აირჩია ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურობის წინამძღოლი თავ. ს. გუგუნავა. კრების დაწყებისათანავე „შუამავალის“ მმართველმა, ბ-ნმა გ. თავართქილაძემ წაიკითხა შემდეგი ანგარიში ამხანაგობის მოქმედებისა 1896 წლისა: 1895 წლიდგან 1896 წლის ანგარიშში გადმოტანილია საწევრო (წილის) ფული 200 მანეთი. ხოლო 1896 წლის განმავლობაში ამხანაგობას წლის ფული შემოუვიდა 6,433 მანეთი და 25 კ., სესხი—8,000 მ., პარკის (აბრეშუმის ჭიისა) 11,818 მან., პარკად დატოვებული 422 მ., შემოწირული ქონება—3300 მან., პაის ბილეთებიდგან—20 მ., ჯამი: 30,193 მან. და 25 კ. ხოლო ამავე 1896 წლის განმავლობაში ამხანაგობას გაუცია: პარკის ფასი—9,142 მ. და 11 კ., ქონების შესაძენად—3,576 მ. და 59 კ.; მოვალეს 8,000 მ., ფულის სარგებელი—275 მ. და 35 კ., ჯამაგირები მუშებისა და სხვა ხარჯი—1,506 და 46 კ., შემოწირული ქონება—3,300 მ., სულ 25,800 მ. და 51 კ.; 1897 წელს გადასატანი ბალანსი—4,392 მანეთი და 64 კაპეიკი.

1897 წლის პირველ იანვრისთვის ამხანაგობას აქვს: წილის ფული—6,633 მ. და 25 კ.; წმინდა მოგება—1,336 მ. და 08 კ., შემოწირული ქონება—3,300 მანეთი, ჯამი: 11,269 მან. და 33 კაპ. აქედგან ნაღდად ჰქონდა: ნაღ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი ფული—4,392 მან. და 74 კ.; შეძენილი ნივთები და შენობები—3,576 მ. და 59 კ.; შემოწირულებანი—3,300 მ., ჯამი: 11,260 მან. და 33 კაპ.

ამხანაგობას ჰყავდა 1897 წლის 1 იანვრამდე 585 წევრი, რომელთაგან სრულად ჰქონდათ საწევრო ფული (20 მ.) შემოტანილი 285 კაცს.

გამათი ჩამოვარდა და კრებაზედ რამდენიმე სიტყვა წარმოითქვა ამ ანგარიშის შესახებ. ხანგრძლივი ბასსი გამოიწვია აგრეთვე სარევიზიო კამისიის წევრების არჩევანმა. ბოლოს არჩეულ იქმნენ გამგეობისაგან წარმოდგენილ ანგარიშის განსახილველად: 1) თ. ნ. თავდგირიძე, 2) არსენ წითლიძე, 3) ისიდორე რამიშვილი და 4) სოლომონ ჭეიშვილი. ამათ, მველ სარევიზიო კამისიის წევრებთან ერთად დაევალათ გამგეობისაგან წარმოდგენილის ანგარიშის დაწვრილებით განხილვა. ამასთანავე კრებამ დაადგინა: თუ ამორჩეული კამისია ხსენებულს ანგარიშს კანონიერად იცნობს, მანვე დაამტკიცოს და გამოაქვეყნოს რომელსამე ქართულს გაზეთშიო. უკეთუ რაშიმე ეჭვი შეუვიდა' მოიწვიოს ახალი საგანგებო კრება.

ლაპარაკი აღიძრა აგრეთვე ამხანაგობის წესდების განხილვისა და შეცვლის შესახებ. გარდასწყვიტეს ამ საქმისათვის კამისიის არჩევა. არჩეულ იქმნენ ამ კამისიის წევრებად 5 კაცი: ნიკ. ღოღობერიძე, ნიკ. თავდგირიძე, დავ. კვირკველია, გრიგ. ჯაყელი და ისიდ. რამიშვილი. ამ 5 კაცს დაევალა შესწორება აწ არსებულის წესდებისა, შევსება მისი ადგილობრივის საჭიროების თანახმად და წარდგენა მთავრობის წინაშე დასამტკიცებლად.

შემდეგ კრებამ ერთხმად დაადგინა: მარშანდელ საოპერაციო წლის მოგებიდგან 25 $^0/_0$ წევრების-მიერ გასატანი მიემატოს სათადარიგო თანხას. იმავე წლის მოგებიდგან საქველმოქმედო აზრით ათი თუმანი გაეგზავნოს ერთს ახალგაზდას, საზღვარ-გარედ მოსწავლესაო. ამასთან ზოგიერთ წევრთა წინადადებით კრებამ დაადგინა ამხანაგობის გამგეს ჯილდო დაენიშნოს მოგების $^0/_0$-დგან, ხოლო თვით ამ $^0/_0$-ის რაოდენობის გამორკვევა სარევიზიო კამისიას დაავალა.

ხაზინადარმა ივ. თაყაიშვილმა კრებასა სთხოვა განთავისუფლება ხაზინადარის თანამდებობისაგან. კრებამ მადლობა გადაუხადა სამსახურისათვის ბ-ნს ი. თაყაიშვილს და მისს მაგივრად ამოირჩია ბ-ნი ურუშაძე. ამავე დროს სარევიზიო კამისიის წევრების კანდიდატებად არჩეულ იქმნენ: მღვ. არსენ თოხაძე, მიხ. თუმანიშვილი და გიორგი მარგალიტაძე.

შემდეგ თვით გამგემ კ. თავართქილაძემ სთხოვა კრებას, ამდენი ხანი ვემსახურე შეძლებისა გვარად „შუამავალსა“, ჩემს საქმეს თითქმის თავი დავანებე, უმორჩილესად გთხოვთ ჩემს ადაგას სხვა აირჩიოთ და მე-კი განმათავისუფლოთო. კრებამ მადლობა მოახსენა სამსახურისათვის და ერთხმად სთხოვა, ერთის წლით მაინც ეგისრნა მართვა ამხანაგობის საქმეებისა და თავართქილაძეც დათანხმდა.

დასასრულ კრებას მოახსენდა, რომ ჩვენს ამხანაგობას შემოსწირესო ქ-ნმა ეკატერინე და ბ-ნმა დიმიტრი მამულაიშვილებმა—სოფ. დუაბზუში ხუთი ქცევა მიწა; ცინცაძეებმა—სოფ. ლანჩხუთში ორი ქცევა მიწა; საჭილაოს საზოგადოებამ—სოფ. საჭილაოში ოთხი ქცევა მიწა და ბ-ნმა მიხ. ორმოცაძემ—ერთი სასწორი ათ თუმნად ღირებულიო.

კრებამ ერთხმად დაავალა გამგეობას, გაზეთის საშუალებით მადლობა გამოუცხადოს მათ შემოწირულებისათვის.

კრებამ ორს დღეს გასტანა და მალიან მშვიდობიანად დაბოლოვდა.

### ქალაქის საბჭოს კრება.

10 თებერვალი

წარსულის კრების დადგენილების წაკითხვისათანავე, ქალაქის მოურავის თანამდებობის აღმასრულებელმა ბ-ნ ივანენკომ განაცხადა: წარსულს კრებაზე საბჭომ უარ-ჰყო გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ მოულოდნელ ხარჯთა დასაფარავად გადასდოთ 2000 მან. ამ ფულის გადადება უთუოდ საჭიროა. მართალია, იქ მოხსენებული იყო „მოულოდნელ ხარჯთათვის“, მაგრამ ეს ფული აი რას უნდა მოხმარდეს: 600 მან. სასანიტარო მზრუნველების მისვლა-მოსვლისთვის იქმნება საჭირო და 1,400 მან. შედედებულის სისხლის გამოსაწერადაო.

საბჭომ ხმის უმეტესობით შეიწყნარა გამგეობის წინა კრებაზედ უარყოფილი მოხსენება.

შემდეგ განხილულ იქმნა ხმოსან როტინიანცის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის თვით-მმართველობამ იკისროს ოსმალეთიდგან გადმოხვეწილ სომხების სასარგებლოდ შემოწირულებანი მიიღოს და გაუნაწილოს იმათ, რომლებიც ერთობ გაჭირვებულ მდგომარეობაში არიან და, თუ შავი ჭირი გაჩნდა, ქალაქის მკვიდრთათვის საშიშს ელემენტს წარმოადგენენო.

მოხსენების წაკითხვის შემდეგ ზოგიერთი ხმოსნები ბ-ნს ივანენკოს შეეკითხნენ, რა აზრისა არის გამგეობა ამ საგნის შესახებაო.

ა. ა. ივანენკო. ბ-ნ კავკასიის მთავარ-მმართებლის საყოველთაო ბრძანების თანახმად, ეს საქმე მთავარ-მმართებელს ექვემდებარება და ამიტომ საჭიროა მალვე ვთხოვოთ, რომ ქალაქის გამგეობას ნება დართოს შემოწირულებათა მიღებისა და განაწილებისა.

ხმ. იოანესიანი. მთავარ-მმართებლის ბრძანებაში ის აზრი არ არის გატარებული, რომ საქველმოქმედო დაწესებულებათ და ქალაქის თვით-მართველობას შემოწირულებათა მიღების ნება არა ჰქონდესო. მთავარ-მმართებელს ის აქვს სახეში, რომ მთელ კავკასიის სხვა-და-სხვა კუთხეებში გადმოხვეწილ სომხებს დაეხმაროს და გაჭირებული მდგომარეობა შეუმსუბუქოს, ჩვენ-კი მხოლოდ ტფილისში მცხოვრებ გადმოხვეწილთათვის უნდა ვიზრუნოთ. ამასთანავე ჩვენ იმის უფლებაც გვაქვს, რომ ამ საქმისათვის საპატიო მოქალაქენიც დავიხმაროთ.

შახ-აზიზოვი. მე ბ-ნ იოანესიანზედ შორს წავალ: ხარჯთ-აღრიცხვაში 2,000 მან. უნდა შევიტანოთ გადმოხვეწილ სომხების სასარგებლოდ. ამ ფულის დახარჯვით ტფილისის მემამულენი არას დაჰკარგავენ, რადგან ამ ღატაკ ხალხის კარგად ყოფნა, მდიდრების კარგად ყოფნაც არის და თუ იმათ შავი-ჭირი ან სხვა მოარული სენი გაუჩნდა, მაშინ ხომ მდიდრებიც განსაცდელში ჩაცვივიან.

საბჭომ როტინიანცისა და იოანესიანის აზრი მოიწონა და შემდეგ შემოსავალ-გასავლის ანგარიშის განხილვას შეუდგა.

პირველად დაამტკიცა გამგეობის მოხსენება იმის შესახებ, რომ ქალაქის სასწავლებლების საღმრთო სჯულის მასწავლებელთათვის (მართლმადიდებელთ და სომეხ-გრიგორ.) 961 მან. გადაიდოსო. ამასთან საბჭოს მოხსენდა მასწავლებლის კატანიანცის თხოვნა, რომ დავუძლურდი და შემწეობა აღმომიჩინეთო. გამგეობას და სასკოლო კამისიას დაუდგენია—ბ-ნ კატანიანცს 200 მან. მიეცესო, ხოლო საფინანსო კამისიას უფრო გულ-უხვობა გამოუჩენია და დაუდგენია 300 მან. მივსცეთ ბ-ნს კატანიანცსაო.

ხმ. იოანესიანი. საფინანსო კამისიას ამგვარი დადგენილების უფლება არ აქვს.

ა. ს. ბაბოვი და თაიროვი. საფინანსო კამისიამ ყურადღება მიაქცია კატანიანცის უნუგეშო მდგომარეობას, მის დამბლად დაცემას, რის გამოც იძულებულ იყო სამსახურისათვის თავი დაენებებინა. ამას გარდა ის 8 შვილის მამაა. ყოველივე ამით, ვხელმძღვანელობდით, როცა იმ აზრს დავადექით, რომ 300 მან. მიეცეს კატანიანცსო.

სხვების ლაპარაკიდგან აღმოჩნდა, რომ კატანიანცი მართალია ავად ყოფილა, მაგრამ სამსახურისათვის თავი არ დაუნებებია.

ამ საგნის გადაწყვეტა სამერმისოდ გადაიდვა.

ამის შემდეგ ბ-ნ როტინიანცმა ლაპარაკი აღძრა იმის შესახებ, რომ ტფილისის გარშემო გორებზედ ტყის მოშენების საქმეში ბ-ნს ლისნევსკის დიდი ღვაწლი მიუძღვისო. ეს კაცი შემდეგშიაც დიდს სარგებლობას მოუტანდა ქალაქს, მაგრამ რაღაც უსიამოვნობა მოუვიდა ზოგიერთებთან და იმიტომ მოგვშორდაო. ბ-მა როტინიანცმა ურჩია გამგეობას და საბჭოს, რომ ვსთხოვოთ ბ-ნ ლისნევსკის, ისევ განაგრძოს თავისი სამსახურიო.

ქალაქის გამგეობის წევრმა ქ. ა. ვერმიშევმა წაიკითხა ლისნევსკის მიერ შემოტანილი ქაღალდი, რომლიდგანაც სჩანს, რომ ბ-ნი ნ. ხუდადოვი ვითომ ხელს უშლიდა, მის საქმეებში ერეოდა და სხ. და ეს იყო ჩემის წასვლის მიზეზიო.

თავ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკი. მართალია ბ-ნი ლისნევსკი ერთობ საჭირო კაცია ჩვენთვის, მაგრამ იმაზედ არა ნაკლებ საჭიროა ბ-ნი ხუდადოვი, რომელმაც პირველმა გაბედვინა ქალაქს გარშემო სერებზე ტყის მოშენებისთვის ეზრუნა და რომელმაც ამ საქმეს დიდი ღვაწლი დასდო.

ბ-ნმა ხუდადოვმა ლაპარაკი დაიწყო; ლაპარაკში ა. ს. ბაბოვი ჩაერია და ერთმანეთს მკვახე სიტყვები მიახალეს. ზარის რეკვას მოუხშირა თავმჯდომარემ; ასტყდა ერთი ჩოჩქოლი და ორონტრიალი. აღარა ისმოდა-რა.

ა. იოანესიანი. რამდენადაც საჭირო და სასიამოვნოა ბ-ნ ლისნევსკის მოწვევა, იმდენადვე სამწუხარო და საზიანო იქმნება, ამ საქმეს ბ-ნი ხუდადოვი რომ მოშორდეს. ამიტომ ამ საქმეში ქალაქის მოურავი უნდა ჩაერიოს, მან უნდა გაანაწილოს იმათ შორის საქმე: სპეციალისტს ტეხნიკურის საგნების მართვა მიენდოს, ხოლო ბ-ნ ხუდადოვს სამეურნეო ნაწილი.

საბჭომ შეიწყნარა ხმოსანის იოანესიანის წინადადება.

ა. ა. ივანენკო. საჭიროა მოვიწვიოთ ტეხნიკი, რომ მუდამ ავჭალაში ქალაქის წყლის აუზებთან სცხოვრობდეს და წყლის მილებს თვალ-ყურს ადევნებდეს. როცა მილებს და წყალს თვალ-ყურის გდება არ უნდა, მაშინ იმან წყლის გამოყვანის გაუმჯობესობის შესახებ სხვა-და-სხვა პროექტები უნდა შეადგინოს. ამ ტეხნიკს წლიურ ჯამაგირად 2,400 მ. დავუნიშნოთ.

ა. ს. ბაბოვი. საკმარისია ტეხნიკს 2000 მ. მივცეთ წლიურ ჯამაგირად, რადგან იმას მისვლა-მოსვლაში არა დაეხარჯებარა და ამასთანავე დროც ექმნება თავისი კერძო საქმეები აკეთოს.

საბჭომ გამგეობის მოხსენება შეიწყნარა.

დაბოლოს კენჭი უყარეს კანდიდატებს გარდასახადის საკრებულო წევრებისას.

გილდის ხარჯის გასაწერ საკრებულოს წევრებად აირჩიეს: მ. ნ. ნაზარბეგოვი, დ. ი. ფორაქოვი და ნ. ს: ფრიდონოვი; ამათ კანდიდატებად:—ა. პ. აკოფოვი, პ. ი. ალიბეგოვი და ა. პ. ახვერდოვი. საკრებულოს წევრებად საწვრილმანოს მოვაჭრეთა ხარჯის გასაწერად: როლოვი, მ. მ. მელქუმოვი, კ. დ. ბაბაიანი, ა. გ. შადინოვი, ი. გ. მჭედლიშვილი და ა. ი. ტერგრიქუროვი; ამათ კანდიდატებად—ფ. მ. ასოტოვი, ვ. შ. კონიევი, კ. ა. სეროფიანი, გ. ე. თუნიევი, ი. ე. ოგანოვი და ს. ა. ხეჩუმოვი.

### ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდამ)

4 თებერვალს პეტერბურგის საიმპერატორო საგეოგრაფიო საზოგადოებაში ვიღაც ს. ა. მელიქ-სარქისიანცს მოხსენება წაუკითხავს და სცდილა დაემტკიცებინა, რომ მუღანლო სწორედ ოქროს მადანიაო.

ეს ადგილი მტკვარ-არაქსის მარჯვენა მხარესა სდევს, გაზაფხულობით აქ უშველებელი ნიავდარი მოკარდება ხოლმე, ხოლო სხვა დროს სრულიად გამშრალი, ყამირი მიწაა. ამასობაში ჰავა ხელს უწყობს, რომ ამ ადგილას მეიროვანი მცენარეულობა მოშენდეს: ბამბა, განაგერჩაკი, შირბახტი და სხ., რისთვისაც მილიონ მანეთს ვხარჯავთო. ეს ადგილები რომ დავასახლოთ, მუღანლო პლანტაციებით აივსება და ათასობით აქ დასახლებული ოჯახი ყოველ წლივ ლუკმა-პურთხვას შეუთვლის თავისს ამ ადგილებში დამსახლებელსაო. მხოლოდ...

მხოლოდ ამისათვის ამ უშველებელს ადგილს ჯერ მორწყვა სდომებია და წყლის არხებით მოფენა. განა რომ კარგი მასალა ჰკლებია ამ ოქროს მადანს!..

**

გაზ. „Мір. Отгол.“-ში წერილია დაბეჭდილი სენატორის კონის მიერ დაბეჭდილ მოხსენების შესახებ. ეს მოხსენება ჩვენ უკვე გვქონდა დაბეჭდილი. აი, რასა სწერს, სხვათა შორის, გაზეთი:

პატივცემულმა ორატორმა ცოტა არ იყოს დააფრთხო თავისი მსმენელები იმითი, რომ არა სთქვა, ავაზაკობა ყველგან-კი არ არის კავკასიაში, არამედ მხოლოდ სამ ეგრედ წოდებულს მაჰმადიანთა გუბერნიაში—ბაქოსა, განჯისა და ერევნისაში. ქუთაისისა და ტფილისის გუბერნიაში იგი იშვიათად არის და ჩრდილოეთ კავკასია-კი და ამასთან თერგისა, ყუბანისა და დაღესტნის ოლქები, სრულიად მშვიდობიანად სცხოვრობს, ავაზაკობა იქ დიდად იშვიათი მოვლენააო.

ესეც არ იყოს, ორატორს დავიწყებია, რომ

ეს ავაზაკნი რაინდნი ანუ შურისმეძიებელნი-კი არ არიან, არა მებრძოლნი რამდენისამე აზრის გამო, არამედ უბრალო, უვიცი, შეიარაღებულნი მძარცველნი, რომელთაც თვით ადგილობრივნი მკვიდრნიც არ თანაუგრძნობენ, რომელთაც თვით მკვიდრნიც შიშსა და ძრწოლაში ჰყავთ. ყველამ კარგად უწყის, რომ შეიარაღებულ და უვიც მაჰმადიან მკვიდრთა შორის, რომელნიც სიკეთის თვალით არ უცქერიან „ურწმუნოთ“, ძალიან ადვილად შესდგება ხოლმე ავაზაკთა ბრბო, რასაც ხელს უწყობს ურიგობა და უვარგისობა პოლიციის უმცროსთა მოხელეთაო.

ყველამ უწყისო, ამბობს გაზეთი, მაგრამ ავიწყდება, რომ ყველას რომ უწყებოდა, პატივცემული კონიც მათ შორის იქნებოდა და მისი მოხსენება ისე არ იქნებოდა გადამლაშებული.

## რუსეთი

როგორც ვუწყით, კიევის შაქრის მექარხნეებს დიდი ხანია სინდიკატი აქვთ შედგენილი, ე. ი. ერთმანეთ შორის პირობა აქვთ დადებილი, რომ შაქარი ყველა იმათგანმა ერთნაირ ფასად ჰყიდოს. ამ სინდიკატმა ჯერ მიწასთან გაასწორა წვრილმანი მექარხნეები, მოქიშპენი თავიდან მოიშორა, და შემდეგ, როგორც მოსალოდნელი იყო შაქარს ერთობ დიდი ფასი დაადო. ამ გარემოებამ ხელმოკლე ოჯახთ შაქრის ხმარების ღონისძიება მოუსპო.

მაგრამ მექარხნეთათვის ეს სულ ერთი იყო, იმათ მაინც არა უზარალნიათ-რა, რადგან მთავრობის დახმარებით შაქარი საზღვარ-გარედ გაჰქონდათ და იქ უფრო იაფად ჰყიდნენ, ვიდრე რუსეთში.

გაზ. „ლუჩს“ საინტერესო სტატისტიკური ცნობა მოჰყავს იმის შესახებ, თუ რომელ სახელმწიფოში კაცის თავზე რამდენი გირვანქა შაქარი იხარჯება:

რუსეთში—$8\frac{1}{2}$ გირ., ავსტრიაში—18 გირ., საფრანგეთში—26 გირ., ამერიკაში—60 გირ., ინგლისში—80 გირ.

სხვა ქვეყნებში რუსეთის შაქარს საქონლის საკვებად ყიდულობენო, ამბობს „ლუჩი“, და ჩვენში-კი სიძვირის გამო თავის მიუცილებელ საჭიროებათა დასაკმაყოფილებლადაც ვერ ყიდულობს ხალხიო.

ზემოხსენებულ გაზეთის სიტყვით, ამ დღეებში უმართებულესს სენატს სინდიკატის ერთი წევრის—ქალ-ნ ბასკაკოვის საქმე განუხილავს და ისეთი განაჩენი დაუდგენია, რომლითაც სინდიკატის შედგენა კანონიერად არ უცვნია და, მაშასადამე, არც გარდაწყვეტილებათ ამა სინდიკატისასა აქვს რაიმე კანონიერი უფლებაო.

—

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზათა უწყების სამინისტრო შესდგომია რუსეთის ყველა რკინის გზებზედ ნავთის გადატან-გადმოტანის ახალ წესების შემუშავებას.

—

ამას წინად უმართებელესმა სენატმა განმარტა, რომ ებრაელებს ციმბირის ქვეყნებში ცხოვრების ნება არა აქვთო. ეხლა კიდევ უმაღლესს სამმართველო წრეებში იმის შესახებ აღუძრავთ ლაპარაკი, რომ ციმბირში ცხოვრება აეკრძალოს ყველა ებრაელებს, იმათაც-კი, რომელთაც უმაღლესის სასწავლებლის სწავლადამთავრების მოწმობა აქვთ. ასეთი წესი უნდა იყოს შემოღებული, რადგან მეორმოცე წლებში დანიშნული კანონი, რომლის ძალითაც ებრაელებს აეკრძალათ ციმბირის ქვეყნებში ცხოვრება, ჯერ გაუქმებული არ არისო.

—

საერო განათლების სამინისტროს წარდგენილების თანახმად, უმაღლესი ბრძანება გამოვიდა, რომ ხაზინიდგან 20,000 მანეთი იქმნას გადადებული ამა 1897 წელს ხელოსანთა შეგირდების სასწავლებლებისა და სახელოსნო სასწავლებლების დასაარსებლადაო.

## უცხოეთი

—

**იაპონია.** 13 დეკემბერს იაპონიის პარლამენტი საქმეთა განხილვას თურმე შეუდგა. პარლამენტის მოქმედებათა დაწყებას დასწრებია მეფე, რომელსაც ორივე პალატის პრეზიდენტები, მინისტრები და სახელმწიფოს წარჩინებულნი მიჰგებებიან. ზედა პალატაში მეფეს შემდეგი სიტყვა წარმოუთქვამს;

„იწყება რა დღეს მოქმედება იმპერიის პარლამენტისა, ორთავე პალატის დეპუტატთ ვუცხადებ, რომ სხვა სახელმწიფოებთან, რომლებთანაც ხელშეკრულობა აქვს იაპონიას დადებული, ამ ჟამად უფრო კარგს განწყობილებაში ვართ, ვიდრე აქამდე ვიყავით... რადგან მშვიდობიანობის დაცვას ძლიერი ჯარი და ფლოტი ხელს უწყობს, ვეცდებით, რამდენადაც ქვეყნის ქონებრივი ძალღონე შეძლებას მოგვცემს, ერთიცა და მეორეც გავაძლიეროთ. მე ვერ დავმალავ თქვენს წინაშე, რომ კუნძულ ფორმოზის საქმე ერთობ საშიშს მდგომარეობაშია. მაგრამ დარწმუნებული-კი ვარ, როცა იქ ახალ წეს-რიგს შემოვიღებთ, იქაური მკვიდრნი დამშვიდდებიან, წარმატების გზას დაადგებიან და ეკონომიურადაც აყვავდებიან. მინისტრებმა ჩემის მინდობილობით შეადგინეს და განსახილველად წარმოგიდგენენ 1897 წ. სახელმწიფოს ხარჯთ-აღრიცხვის ანგარიშს და ამასთანავე რამდენსამე კანონ-პროექტს, რომელთა შემოღება იმპერიისათვის საჭიროა, და დარწმუნებული ვარ, თქვენს დიდს მოვალეობას ისე შეასრულებთ, როგორც ეს შეჰფერის ჭეშმარიტს მოქალაქეთა და ერთგულ ქვეშევრდომთ“.

—

**ჩინეთი.** ამ ბოლოს ხანებში ჩინეთის ყოველმხრივ შესწავლას ევროპიელები დიდის გულმოდგინებით შეუდგნენ. თვით ჩინელებიც ისეთის მტრულის თვალით აღარ უცქერიან უცხო ქვეყნელებს, როგორც წინად იყო. ამას წინად საფრანგეთისა და ინგლისიდგან მრავალი სწავლული წავიდა ჩინეთის სხვა-და-სხვა ადგილებში. ამბობენ, რომ გერმანიის მთავრობაცა ჰგზავნის თურმე ჩინეთში ექსპედიციას, რომელმაც უნდა გამოარკვიოს, თუ რა ღონისძიება აქვს იქ ხალხს, და რა და რა ӧ რამდენი საქონლის გასაღება შეიძლება იქაო.

---

### ძველის-ძველი ცნობები შავის ჭირის შესახებ.

გაზეთს „პეტ. ვედ.“-ს მოჰყავს ფუკიდიდისა, გეროდოტისა და სხვა ძველ მეისტორიეთა ცნობილი მთარგმნელის, პროფესორის ბ-ნ ე. გ. მიშჩენკოს წერილიდან შემდეგი ცნობები ძველ საბერძნეთში შავი ჭირის მძვინვარების შესახებ.

მიშჩენკოს გამოკვლევიდანა სჩანსო, —ამბობს გაზეთი, რომ შავი ჭირის შესახებ დადასტურებით ცნობებს იუწყება საბერძნეთის ძველი ისტორიკოსი ფუკიდიდი, რომელსაც ხუთი საუკუნით ადრე უცხოვრია ქრისტეს დაბადებამდე. თუმცა ამ აღწერიდგან ცხადადა სჩანს, რომ ავტორს არა ჰქონია სპეციალური სამედიცინო ცოდნა და ეს ნაკლი ვერ შეუვსია ვერც მისს საოცარს ნიჭს, ვერც ცხოვრების ღრმა ცოდნასა და დაკვირვებას, ვერც იმ გარემოებას, რომ თითონ ეს შესანიშნავი კაცი მხურვალე მონაწილეობას იღებდა და თავგამოდებით ეხმარებოდა გაჭირებაში მყოფ თანამემამულეებს. მაგრამ ის კი ეჭვს გარეშეა, რომ ფუკიდიდის მიერ აღწერილ შავს ჭირს ბევრი საერთო ნიშნები აქვს ეხლანდელ სენთან. ფუკიდიდი არაფერს გვეუბნება იმის შესახებ, ჯირკვლები უსივდებოდა თუ არა სნეულს და სხვა. და კიდეც ეს არის მიზეზი იმ უთანხმოებისა, რომელიც მეცნიერთა შორის არსებობს ამ საგნის შესახებ. მაგრამ, სამაგიეროდ, ძველ ისტორიკოსის ჩვეულებრივად მოკლე და თავდაჭერილ ნაშრომში ცხადად არის დახატული ამ სენის ზოგიერთი თვისება, სნეულის სულიერი მდგომარეობა და ის საერთო შიში, რომელიც ათინის მოქალაქეთა შორის გამოიწვია თურმე ამ სენმა. ათინას მოედო ეს საშინელი სენი პელოპონესის ომის მეორე წელს, ესე იგი 430 წ. ქრისტეს დაბადებამდე, როცა ატტიკა ისევ მტრის ჯარებს ეჭირათ ხელში და ათასობით სოფლის მცხოვრები მოგროვდნენ უიმისოდაც ხალხ-მრავალ ქალაქში. ჩვეულებრივ ცხოვრებას მოკლებული ხალხი, რომელიც მხოლოდ თავისს თავ-მინებებულსა და მტრის ხელში ჩაყრილ სარჩო-საბადებლის ფიქრში იყო, ვერა ჰპოულობდა ქალაქში ვერც საკმაო სახსარს ცხოვრებისას, ვერც ბინასა და თავ-შესაფარს და საშინელს გაჭირებასა და უსუფთაობაში იმყოფებოდა. სენმა პირველად პირეიაში, ათინის ნავთ-საყუდელში იჩინა თავი. ამ სენის სამშობლოდ მაშინ ასახელებდნენ ეგვიპტეს და ეს ჭეშმარიტებასთან ახლოც იყო, რადგანაც მდინარე ნილოსი ხშირად გადმოდიოდა ნაპირებიდგან, სტოვებდა ნაპირებზედ სხვა-და-სხვა დამპალ ნივთიერებას და ათას-გვარ სნეულებას ავრცელებდა.

ფუკიდიდის სიტყვით, სნეულება იწყებოდა თავში ანთებით, თვალები ცეცხლებრ ენთებოდა სნეულს; შემდეგ ენა ებმებოდა, სულთქმა უხშირდებოდა და პირიდგან მყრალი სუნი ამოსდიოდა. მთელი ტანი საშინლად უწითლდებოდა და წვრილმანი ბუშტებითა და მუწუკებით ევსებოდა. სნეულს ისე ეწოდა გულ გვამი სიცხით, რომ ტანისამოსს ვერ იყენებდა ზედ, ცივის წყლისაკენ გარბოდა და შიგ ვარდებოდა. აუტანელი და სულის შემხუთველი წყურვილი სტანჯავდა სნეულს და მრავალი უპატრონო ავადმყოფი ცვივოდა ჭებში და იხრჩობოდა. უმეტეს ნაწილად ავადმყოფები ჰკვდებოდნენ მერვე ან მეცხრე დღეს. თუ ვინმე გადარჩებოდა, ისიც საშინლად მახინჯდებოდა, რადგანაც საუკუნოდ უნდა გამოსთხოვებოდა ხელისა და ფეხის თითებს, სქესებრივს ორგანოს და ხშირად თვალის სინათლესაც. ზოგიერთი მორჩენილთაგანი იმდენადა ჰკარგავდა მეხსიერებას, რომ ვეღარა სცნობდა ვერც თავისს თავსა და ვერც თავისს ნაცნობებს. სენი არავის არ ინდობდა: ჰკვდებოდა ის, ვინც მოკლებული იყო ყოველგვარ მზრუნველობას; ჰკვდებოდა ის ბედის მადლიერიც, რომელიც ფუფუნებითა და განცხრომით ატარებდა დროს. ის, ვინც გაურბოდა ავადმყოფებს, მარტოობაში ჰლევდა სულს. ის, ვინც კაცობრიულის თანაგრძნობით უვლიდა სნეულებს, თავისის ნებით ხდებოდა ამ საშინელის სენის მსხვერპლი. ვიწრო ქოხები სავსე იყო მკვდრებით. საზარელ სურათს წარმოადგენდა ნახევრად ცოცხალი ხალხი, რომელიც წყურვილით გახელებული ძლივს დაფორთხავდა ჭებისა და წყლების მახლობლად. არავინ იყო მკვდრების დამმარხველი, ფრინველნი და ოთხფეხი ცხოველები არ ეკარებოდნენ ადამიანთა ლეშს, რადგანაც კარგადა ჰგრძნობდნენ, რომ იმათაც იმსხვერპლებდა ეს საშინელი სენი და თუ მართლაც რომელიმე ფრინველი ან მხეცი დაუწყებდა ადამიანის ლეშს კორტნას—თვითონაც ზედ აკვდებოდა. მაგრამ ყველაზედ უფრო საშიშარი ამ დროს, ისტორიკოსის სიტყვით, იყო სულით დაცემა ხალხისა: თუ ვინმე ცოტაც არის იგრძნობდა ამ სენის მოახლოვებას, სასოწარკვეთილებას ეძლეოდა და ავად-მყოფობას აღარ ეწინააღმდეგებოდა. ამ სენმა გარყვნა საზოგადოება, დასცა ზნეობა. ხალხს არ ეშინოდა არც ღმერთებისა, არც კანონებისა, რადგანაც სიკვდილი მუსრს ავლებდა ყველას და ყველა დანაშაულისთვის დასჯამდე სიკვდილს მოელოდა. არავის გააჩნდა არც სიცოცხლე, არც სიმკვიდრე და დიდება, ყველა ისწრაფოდა რაც შეიძლება უფრო მეტად დამტკბარიყო და ლაგამ ახდილის გრძნობათა ღელვას ეძლეოდნენ. როცა ქალაქში ათინელთ მუსრს ავლებდა საშინელი სენი, ქალაქ გარედ მძვინვარებდა საშინელი მტერი და მუსრს ავლებდა გლეხებთა თავ-მინებებულ სახლ-კარსა და იკლებდა მათ სარჩო საბადებელს. საბერძნეთის სხვა ნაწილებში, ისტორიკოსის სიტყვით, უფრო გაცხარებული იყო შავი ჭირი მჭიდროდ დასახლებულ ადგილებში.

---

### მცირე შენიშვნა

(წერილი რედაქციის მიმართ)

როგორც მკითხველებმა უწყიან, ქუთაისში კერძო სათავად-აზნაურო კრება იყო გუბერნიის მარშლის თავმჯდმარეობით. ამ კრებაზედ ბევრი საინტერესო საგანი იყო აღძრული, რომელსაც აქაურმა გაზეთებმა ყურადღება მიაქციეს. მხოლოდ ბ-ნ ჯაფარიძის უკანასკნელად შეტანილი წინადადება,—რომ ქართველის სტუდენტების დამხმარებელ საზოგადოების დაარსების ნება-რთვა ვითხოვოთო, თუმცა კრებამ დიდის თანაგრძნობით მოისმინა, მაგრამ უარჰყო იგი იმ მოსაზრებით, რომ ასეთი საქმე კერძო კაცმა უნდა ითავოს და არა თავად-აზნაურობამაო. ჩვენის ფიქრით, კრების ასეთი გადაწყვეტილება სამართლიანად არ უნდა იყოს მიჩნეული.

ვინ არ იცის ჩვენის სტუდენტების ხელმოკლეობა! ამის შესახებ ლაპარაკი მეტად მიგვაჩნია, მით უმეტეს, რომ თვით იმ კრებასაც კარგად ესმოდა ეს. ყოველს ქართველს რამდენიმე გროში მაინც გადაუხდია სტუდენტის სასარგებლოდ. ყველას გაეგონება, თუ რამდენი ბალი, საღამო, წარმოდგენა იმართება იმათ დასახმარებლად. იშვიათად იქნება ისეთი თვე, რომ რომელიმე მანდილოსანი შეწირულების შესაკრებელ ქაღალდით არ დარბოდეს ქალაქის ყველა კუთხეში, აგებ ვინმე ვიშოვნო ღატაკის სტუდენტის თანამგრძნობელიო. უმეტესობა თანაგრძნობით ეგებება ამ კეთილს საქმეს, თავისს წვლილს აწვდის კიდეც, მხოლოდ ამასთანავე დასძენს ხოლმე: „სწორედ გამიჭირდა ცხოვრება, ჩემი ჯიბე ვეღარ გაუძლებს ამდენს გარდასახადსაო“. მართლაც, სად შეუძლიან იმ კაცს, რომელსაც თვეში ხუთი თუმანი ძლივს ეძლევა, 5 მანეთი მხოლოდ სტუდენტების სასარგებლოდ გამოიღოს, მარტო ამ ერთ საქმეზედ. ახლა კიდევ რამდენი საქველ-მოქმედო საქმე შეჰყურებს იმისს ჯიბეს?!.. ამას დაუმატეთ ის უიმედობა, რომელიც ჩვენს საზოგადოებასა აქვს სტუდენტების მიმართ გულში ჩანერგილი, და დარწმუნდებით, რომ ამგვარად ფულის მოკრება ძლიერ სავალალოა; გაიგებთ, თუ რა ზნეობრივს მწუხარებას უნდა ჰგრძნობდეს მისი მკრებელი და რა უსიამოვნო მდგომარეობაშია ხშირად ფულის მიმცემი. ნუ დაივიწყებთ იმასაც, რომ უფრო ხშირად იმ სტუდენტს ერგება ხოლმე ეს ფული, ვისაც მეტი ნაცნობები და ნათესავები ჰყავს, და ის-კი, ვინც განათლებისკენ გატაცებით მიისწრაფის, მეცნიერებისათვის თავ-განწირვით ებრძვის ულმობელს სიმშილს, სიცივეს, ის-კი ყოველსავე დახმარებას მოკლებულია. ამიტომ არის ფრიად საყურადღებო ბ-ნის ჯაფარიძის წინადადება, რომელიც კრებამ არ იცნო თავისს განსახილველ საგნად.

რატომ? იკითხავთ. იმიტომ თურმე, რომ ასეთ საზოგადოებათა დაარსება კერძო კაცის საზრუნავს უნდა შეადგენდეს და არა რომელისამე წოდებისასაო. ეს დასკვნა საოცარია, რადგან საგანი საზოგადოა, დახმარება საჭირია ყველა წოდების შვილებს ӧ არა ერთის რომელისამე წოდებისას. განა ერობა, ნაფიცნი მსაჯულნი და სხვანი, რომელთა შესახებაც კრებას სჯა ჰქონდა, რომელისამე განსაკუთრებულის წოდების საკუთრებას შეადგენს და არა მთელის ერისას. ამათი ასე თუ ისე გადაწყვეტა განა საინტერესო არ არის როგორც მაღალი, აგრეთვე დაბალი წოდებისათვისაც. რაღა სტუდენტების გაჭირვებულ მდგომარეობის გაუმჯობესობის საქმე იცნო ისეთ საქმედ, რომლის შესახებაც თავად-აზნაურობა ვერ იქონიებს სჯას და ვერ იზრუნებს?!..

საკვირველია, კერძო კაცს რად უნდა შეეძლოს ზრუნვა ამ საქმისთვის და თავად აზნაურობას კი არა, მაშინ, როდესაც თავად-აზნაურობის მეცადინეობა უფრო იქმნება შეწყნარებული?! ჩვენის აზრით, თუ კრებამ უარ-ჰყო ეს წინადადება, მარტო იმიტომ, რომ იგი ყველაზედ ბოლოს მოხსენდა და წევრებს სახლისკენ მიეჩქარებოდათ.

თუ თავად-აზნაურობას არ აქვს უფლება იშუამდგომლოს მთავრობის წინაშე მარტო სტუდენტების დახმარებისათვის, მაშინ შეიძლება იკისროს საზოგადოდ ყველა მოსწავლეების დამხმარებელ საზოგადოების დაარსება. ამას კიდევ უფრო დიდი მნიშვნელობა ექნებოდა, რადგან უნივერსიტეტ გარეშეც ბევრი ახალგაზდაა დარჩენილი, რომელნიც ქონებრივ ხელ-მოკლეობის გამო იძულებულნი არიან თავისი მკვირცხლი ნიჭი უმნიშვნელო ქაღალდების გადაწერ-გადმოწერაში დაახლუნგონ; ნაღვლიანად შესტრფიან შორიდგან მეცნიერებას და მხოლოდ ლუკმაპურის ძებნაში უნდა გაუქარწყლდეთ ეს წმიდა სურვილი. განა ამ ყმაწვილ-კაცთა დახმარება სანატრელი და საფიქრებელი არ არის? იმედია, ამ საგანს სათავად-აზნაურო კრება მომავალში მაინც არ აუვლის გვერდს და რაიმე ღონისძიებას მოიპოვებს ჩვენის მოზარდ თაობის წელის გასამაგრებლადა და ხელის გასამართავად...

ა. წ—ძე

---

### ნაწყვეტი

—

კმარა მგოსანო, დუმილი,
ჩანგური ააჟღერეო,
გრძნობით ატირე სიმები,
ციურად დაიმღერეო,
მეც მაქვითინე, მაცრემლე,
ჭკვა-სიბრძნე ჩამომბერეო,
და შენი ოქროს სიტყვები
ზედ გულზე დამაწერეო!

დ. მაჩხანელი

## დამაკვირდი

მთვარკვლდი-ანგლოზნი ჭაბუკობისანი სამნი არიან: გარჯა, გულ-მართლობა და სარწმუნოება.

ემერსონი.

***

სჯობია ადამიანი გატყდეს შრომისაგან, ვიდრე ობი მოეკიდოს უქმად ყოფნისა და დრო-ჟამისაგან.

პლატონ ფილოსოფოსი.

***

ვინც ბატონად იხდის ან შექცევას, ან მოწყენას, ის ეძლევა ყველაზე უფრო საშიშარს და მძიმე მონაობას.

სენეკა.

## ჟურნალ-გაზეთებიდამ

ამოკრებილი ამბები.

სამხრეთ-დასავლეთს ევროპაში აღმართულია დიდი მთები ალპიისა. ამ მთებს ბევრი მაღალ-დაბლობი აქვს, ბევრი ხეობები, რომელზედაც გზებია ადამიანის სავლელად. ეხლა ამ მთებში გაყვანილია რკინის გზები, გვირაბებია გათხრილი და გზა-ტკეცილებიც არის, ამ ასის წლის წინად-კი გადასვლა ამ მთებზედ არამც თუ ძნელი იყო, არამედ საშიშარიცა.

ერთს უღელ-ტეხილზე ახლო, რომელსაც სენ-ბერნარი ჰქვიან, მონასტერია. ეს უღელტეხილი ზღვიდამ 7880 ფუტის სიმაღლისაა. იქ მუდამ ზამთარია და ყინვა 30 გრადუსამდე ადის. ზაფხულში ბევრი-ბევრი რამდენიმე ათიოდ დღე შეხვდება იმისთანა, რომ საშინელი ქარ-თოვლი და ნანქერი არ იყოს. ქარი ხანდისხან მთელს გორეებს დააყენებს ხოლმე თოვლისას და ნამეტნავად მონასტერთან, საცა ნანქერი თოვლი კედლებსავითა დგას ოთხ-ხუთ საჟენის სიმაღლეზე. ეს ნანქერი ამოამსებს ხოლმე ხევ-ხუვებს და რაც ბილიკებია სულ ერთიანად ქვეშ იტანს და ჰფარავს გზასა. მარტო ზაფხულობით თუ შეიძლება კაცი უშიშრად მიენდოს ამ მთებს და გადაიაროს. ზამთარში კი აქ მისვლა-მოსვლა ძნელი გასაბედია და მეტის-მეტად საშიშარი.

წინად წელიწადი ისე არ გავიდოდა, რომ ნანქერს, თოვლის ბუქს რამდენიმე კაცი არ მოემწყვდია თოვლის ქვეშ, ზვავს, ან ქარ-ბუქს არ გადაეგდო ადამიანი ხევში სადმე და არ დაეღუპნა თოვლის ქვეშ. აგრე მომწყუდეული ადამიანი ან სიცივისაგან კვდებოდა, ან დაქანცულობისაგან, ან შიმშილისაგან, რადგანაც, რაკი თოვლს ქვეშ მოჰყვა, ან ზვავმა ქვეშ მოიტანა, არაქათი აღარა ჰქონდა ადგილიდამ დაძვრისა, გადარჩენისა, ხოლო მონასტრის ბერები ჭეშმარიტ ქრისტიანულ გრძნობით და თავგანწირვით ჰშველოდნენ მგზავრსა და იმათის მეოხებით ბევრი ადამიანი დახსნილა სიკვდილისაგან.

ჯერ კიდევ მერვე საუკუნიდამ, ესე იგი, თითქმის ათასის და მეტის წლის წინად ამ უღელ-ტეხილის ახლო კაცთ-მოყვარულობამ ადამიანისამ ააშენა მონასტერი. ამ მონასტრის ბერებმა შესწირეს მთელი თავისი სიცოცხლე იმას, რომ მთებში ვაი-ვაგლახის ატეხის დროს მგზავრს თბილი ბინა მისცენ და ყოველგვარი სამსახური გაუწიონ. ამისათვის არავითარს სასყიდელს არავის არ ართმევდნენ და მუქთად ემსახურებოდნენ მთებში გაჭირებულ ადამიანს. მონასტერი იმოდენაა, რომ დაიტევს ორას კაცამდე მგზავრსა. ეს ყოველისფერი გასაოცებელი არ არის: სად არ არიან მადლის-მქნელნი კაცნი.

საკვირველი აი რა არის: საკვირველნი არიან აქ მონასტერში ბერებისაგან გაწურთვნილი ძაღლები, რომელთაც სენ-ბერნარის ძაღლი ჰქვიან. ყოველ ცისმარა დღეს ორი მორჩილი ამ მონასტრისა რიგ-რიგობით მოვალეა ხევ-ხუები, ბილიკები, გზები მოიარონ და ითვალთვალონ ხომ გზები არვის შეშლია, არავის ხომ განსაცდელი არ შეემთხვია და საცა შველაა საჭირო, უშველონ და გზა დაბნეული მგზავრი სტუმართ მოყვარე მონასტერში მოიყვანონ.

როცა მთებში ქარ-ბუქი და ნანქერია, ან ზვავია სადმე, მაშინ ერთი-ორად, ერთი-სამად მეტი მორჩილი იგზავნება აქედ-იქით მთებში ამავე სამადლო საქმისათვის და თვითონ ბერებიც თან მისდევენ. თან მიაქვთ ხოლმე ნიჩბები, საკაცეები, საჭმელ-სასმელი, რომ თუ ვინიცობაა სადმე იპოვეს თოვლ-ქვეშ მოტანებული კაცი, მშიერ-მწყურვალი, ღონოდ ქმნილი, ხელთ-ჰქონდეთ ყველაფერი, რომ თოვლისაგან გაანთავისუფლონ კაცი, მოასულიერონ და საკაცით მოიტანონ მონასტერში. თან უსათუოდ ძაღლებს გაიყოლიებენ ხოლმე და ერთი ალღო-აღებული კვალიც არ გადარჩება ისე, რომ ძაღლებმა არ მონახონ. არის ერთი ხმაურობა, ერთი-ერთმანეთის ძახილი, იპოვნი არ იპოვნი და სხვა ამისთანა.

ამ სენ-ბერნარის ძაღლებმა მეტის-მეტი სახელი ადგა იციან, ნამეტნავად ადამიანის და უბაძებისგან მთელი დღე დარბიან ხევ-ხევებში, მთებში და საოცარის ერთგულობით ეძებენ ხომ არსად არის მომწყვდეული მგზავრი თოვლისა და ნანქერისაგან. თუ იპოვიან სადმე თოვლში გაყინულს კაცს, მაშინვე მირბიან მონასტერში ხმა-მაღლა ყეფით და იქიდამ მოჰყავთ უბედურ მგზავრთან ყოველთვის ძმათა საშველად მზად-მყოფი ბერები. თუ-კი სული აიღეს ადამიანისა, მაშინვე თათით თოვლს თხრას დაუწყებენ და არ მოეშვებიან, მინამ თვით თოვლ-ქვეშ მოყოლილს ადამიანს არ გამოაჩენენ.

სენ-ბერნარის ძაღლი დიდის ტანის ძაღლია, გრძელი ბეწვი აქვს, მოკლე და განიერი ცხვირ-პირი, გრძელი ყურები და ძალიან შემძლებელი და ღონიერი არის, სიმაგრე და ღონე ბრჭყალებისა საოცარია და ამიტომაც თხრაში დიდს სამსახურს უწევენ თავიანთ პატრონს. როცა ამათ ხსენებულ სამადლო საქმისათვის ჰგზავნიან მონასტრიდამ, ყელზე ჩამოჰკიდებენ ხოლმე კალათას საჭმლითა, ბოთლს ღვინოს, ზურგზედ დააკვრენ თბილს საბანს და ჭკუიანმა ძაღლმა იცის ვისთვის და რისთვის ჰრთავენ ეგრე. რიცხვი ამ ძაღლთაგან გადარჩენილის კაცისა ძალიან ბევრია და თვითეული შემთხვევა გადარჩენისა უკლებლივ ინუსხება მონასტრის წიგნში. არა ერთი და ორი მაგალითი ყოფილა, რომ სენ-ბერნარის ძაღლს გადაუქექია თოვლი, უთხრია ზვავი, უპოვია კაცი ქვეშ-მოყოლილი, მიუცია სასმელ-საჭმელი, საბანი და თვითონ რომ ვერ შესძლებია წამოყვანა,—გამოსულიერებული კაცი იქ დაუგდია, მოსულა მონასტერში დაურეკია ზარი, შეუტყობინებია ამით ბერებისათვის, წაუყვანია ეს ბერები და გადურჩენია განწირული სასიკვდილოდ ადამიანი. ყოფილა ამისთანა მაგალითიც, რომ ზვავი დასცემია ცოლ-შვილით მომავალს კაცს, მამა ზვავს ვინ იცის სად გადაუგდია, დედა—სად და ძაღლს მარტო ბალღი უპოვნია, თავისით გაუთბია, მოუსულიერებია, მერე ისე შესჯდომია ბალღს ქვეშ, რომ ბალღი ზედ ასცოცებია ზურგზე და გახარებულს ძაღლს ბალღი აგრე მიუყვანია მონასტერში.

ბუნების-მეტყველი მეცნიერი შეიტლინი, განცვიფრებული ამისთანა ძაღლის უანგარო სამსახურით და ქველ-მოქმედებით, აღტაცებულს და ამასთან გულის-ამოსაჯდომს ქებათა-ქებას უწერს ერთს სენ-ბერნარის ძაღლს, რომელსაც ბარრი ჰრქმევია და რომელსაც ორმოცზე მეტი კაცი გადურჩენია აუცილებელ სიკვდგლისაგან. როცა ეს ძაღლი დაბერდა, ღონე აღარა ჰქონდა თავისი წმიდა სამსახურისათვის, აილო ქალაქმა, ცალკე ბინა გაუკეთა, უპატრონა, მოუარა და როცა თავისის მიზეზით მოკვდა, იმ ძაღლის ტყავისაგან სახე მისი გააკეთებინა და მუზეუმში ადგილი მისცა. შეიტლინის მართლა-და გულ-ამოსაჯდომ ქებას ხვალ მოვახსენებ მკითხველს.

---

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

11 თებერვალი

**პარიზი.** ადმირალი პოტიე კანეიდგან დეპეშით იუწყება: „ადმირალებმა თავიანთ მთავრობას აუწყეს, რომ კრიტში არეულება ჰმატულობს და ძლიერდება, და განაცხადეს, რომ თუ ნება სარ მოგვცემთ აღვუკრძალოთ ბერძნებს ნაპირებზედ გადმოსვლა და სურსათის მიტანა და დიდნი სახელმწიფონი არ დაიყოლიებენ საბერძნეთს, რომ მან ფლოტი და ჯარი უკანვე გაიხმოს, ჩვენ პასუხის-მგებლობას ვერ ვიკისრებთ, თუ ვინიცობაა შეტაკება მოგვიხდა ბერძნებთანაო. 9 თებერვალს, დილით, თუმცა ადმირალებმა მრავალ გზის პროტესტი განაცხადეს, მაგრამ მეამბოხეთა მოწინავე რაზმმა განაგრძო იერიშით მისვლა და თოფის სროლა დაუწყო კანეიასთან მყოფს ოსმალთა ჯარის წინა რაზმს. ადმირალთა ერთმანეთთან მორიგების შემდეგ, ინგლისისა, გერმანიისა, ავსტრი-უნგრეთისა და რუსეთის გემებმა, რომელნიც ნავთ-სადგურის აღმოსავლეთისმხარეს იდგნენ, სროლა დაუწყეს მეამბოხეთ და მხოლოდ მაშინ შეწყვიტეს, როცა საბერძნეთის დროშა ძირს იქმნა ჩამოშვებული. რადგან დიდ სახელმწიფოთა გემები აღმოსავლეთიდგან დასავლეთისაკენ იყო გამწკრივებული, პირველად სროლა ინგლისის გემებიდგან დაიწყეს, იმას მიჰყვნენ გერმანიისა ავსტრიუნგრეთისა და რუსეთის გემები. სანამ მონაწილეობას მიიღებდნენ საფრანგეთისა და იტალიის გემები, რომლებიც დასავლეთისკენ ყველა გემების ბოლოს იდგნენ, ბრძანება გამოვიდა კიდეც, რომ სროლა შესწყვიტეთო. როგორც ხმა დიდის, არც ერთი მეამბოხე არ მომკვდარა, მხოლოდ ქონებრივი ზარალი მოსივლათ“.

**პარიზი.** დეპუტატთა პალატა. დიდ-ძალი ხალხია შეკრებილი; დიდი მოძრაობაა. დიპლომატთა ტრიბუნა სავსეა. ბურბონის სასახლის მახლობლად მრავალი ცნობის-მოყვარე სდგას. მემარჯვენეთა წევრი კოშენი აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ შეეკითხა მთავრობას. ორატორმა სამდურავი განაცხადა, რომ „ყვითელმა წიგნმა“ სომხეთა საქმის შესახებ დაიგვიანა და ამ წიგნში მოთხრობილს ბევრი რამ ნაკლი აქვსო. დაუწყო-რა განხილვა „ყვითელის წიგნის“ შინაარსს, კოშენმა სომხეთსა და კონსტანტინეპოლში მომხდარ ხალხის ჟლეტვის შესახებ დაიწყო ლაპარაკი და განაცხადა, რომ დიდთა სახელმწიფოთაგან შემოსაღებად საჭიროდ ცნობილნი ცვლილებანი უთუოდ უნდა განხორციელდესო. კრიტის შესახებ კოშენმა სთქვა: კრიტი რომ ოსმალეთს დაუბრუნდეს—ეს წარმოუდგენელი საქმეაო. ხალხის ჟლეტვა რომ განმეორდეს, დაღვრილის სისხლის პასუხის-მგებლობა ევროპას დააწვება კისრადაო. ცვლილებათა შემოღება აუცილებლად საჭიროა. საფრანგეთმა მხნეობა უნდა გამოიჩინოს და, თუ საჭიროება მოითხოვს, ძალ-დატანებასაც მიჰმართოსო (ტაშის კვრა ისმის).

**პარიზი.** აღმოსავლეთის საქმეთა შესახებ აძრულ ლაპარაკის გამო ჰანოტომ გასცა პასუხი. მთავრობის დეკლარაცია, ჰანოტოს მიერ წარმოთქმული, 413 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 83-სა, მოწონებულიქმნა.

**კონსტანტინეპოლი.** მემკვიდრე ცესარევიჩი „ზარნიცი“-ს იახტით 10 თებერვალს კავაკს მობრძანდა. მის უმაღლესობას საელჩო „კოლხიდა“ს იახტით მიეგება. იქვე იყო ელჩიც. ოსმალთა სიმაგრეებიდგან მისს უმაღლესობას ზარბაზნების სროლით სცეს პატივი და აგრეთვე ჯარები იქმნა ჩამწკრივებული მეფუსიკეთა დასით. „ზარნიცას“ ბოსფორში თან ახლდა „კოლხიდა“.

**ბერლინი.** რეიხსტაგი. შმიდტსვარბურგს რომელმაც განაცხადა, რომ საბერძნეთი გაკოტრებული მოვალე არის და საჭიროა, რომ იმისს ვალებს მთავრობამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოსო, ფონ-მარშალმა უპასუხა, რომ გერმანიაში 220 მილიონ მარკის საბერძნეთის თანხა მოიპოვებაო. შემდეგ მინისტრმა სთქვა: „ტყუილი გამოდგა ის იმედი, რომ საბერძნეთის მთავრობა ყოველ ღონისძიებას იხმარებს, რათა აღადგინოს მის მიერ შემაძრწუნებლად დარღვეული საერთაშორისო უფლებანიო, ჩვენ, სხვა სახელმწიფოებთან ერთად, შემდეგშიაც დავიცავთ მოვახსენეთ ინტერესს თანახმად რეიხსტაგში რამდენჯერმე წარმოთქმულ დედა-აზრისაო.“

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატა. ლაბუშერმა წინადადება შეიტანა, კრება შევსწყვიტოთ, რათა ყურადღება მიექცეს იმ ამბავს, რომ ინგლისის გემებმა საბერძნეთის ჯარს ზარბაზნები დაუშინესო. ორატორმა გაჰკიცხა გემების ასეთი მოქმედება. ბალფურმა გასცა პასუხი ლაბუშერს. პალატამ ლაბუშერის წინადადება 243 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 125-სა არ შეიწყნარა.

---

**ტფილისის ქალაქის გამგეობა** ამითი აცხადებს საყოველთაოდ, რომ ამომრჩეველთა ნუსხანი ტფილისის ქალაქის საბჭოს ხმოსანთა ასარჩევად, რომელიც დანიშნულია 1897 წლის 18 მაისისათვის, უკვე შედგენილია და ქალაქის გამგეობა შეუდგა შესავსებელ ამომრჩეველთა ნუსხას შედგენას. ამ ნუსხაში მხოლოდ ქ. ტფილისის ის მამულის პატრონნი იქმნებიან ჩარიცხულნი, რომელნიც 1896 წლის პირველ ექვსის თვის დასაფასებელს გარდასახადს ამა წლის 5 მარტამდის შემოიტანენ.

(3—6.—1)

---

## ა ნ გ ა რ ი შ ი

ტფილისის სასოფლო სამეურნეო საურთიერთო კრედიტის საზოგადოებისა.

31 დეკემბერს, 1896 წლისას.

(საზოგადოებამ დაიწყო თავისი მოქმედება 1895 წლის 17 ივლისს)

**ა ქ ტ ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. საზოგადოების კასსა | 7360 | 40 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: ტფილისის საკომერციო ბანკში | 1491 | 18 |
| III. „ „ „ა. ფრიდონოვისა და ამხ.“ საბანკო კანტორაში | 617 | 04 |
| IV. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცს უწერია ხელი | 117014 | — |
| V. განაღდება ვადიან %-იან ქაღალდებისა, კუპონებისა და სხ. | 534 | 55 |
| VI. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს და მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ. ფას. ქაღალ. 384— —; ბ) სასოფლო სამეურნეო ნაწარმ. 3420— — | 3804 | — |
| VII. საზოგადოების მიმდინარე ხარჯი | 12528 | 93 |
| VIII. დასაბრუნებელი ხარჯი | 190 | 92 |
| IX. მოწყობა მომართვა | 1026 | 69 |
| X. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღალდი | 23 | 15 |
| XI. პროტესტში წასული თამასუქები | 150 | — |
| XII. გარდასაცემი თანხა | 1517 | 70 |
| ს ულ | 146258 | 56 |

**პ ა ს ს ი ვ ი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 534 წევრთაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულიდგან | 60367 | — |
| II. შემოტანილი ფული: ა) მიმდინარე ანგარიშით 17755—31; ბ) ვადით 29226—30 | 46981 | 61 |
| III. მიღებული სარგებელი და კომისიის ფული, გარდახდილს გარდა | 11500 | 46 |
| IV. გარდასაცემი თანხა | 2988 | 46 |
| V. სხვა-და სხვა ინტერესები | 25 | 16 |
| VI. გარდასახდელი სარგებელი | 480 | 69 |
| VII. გადაგირავება თამასუქებისა | 23880 | — |
| VIII. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 35 | 18 |
| ს უ ლ | 146258 | 56 |
| პასუხის-მგებლობა 534 წევრისა 10%-იან შემოსატანს გარდა | 543303 | — |
| საზოგადოებას აქვს გარდაცემული შესანახად ქონება | 3000 | — |

უფროსი ბუხგალტერი ი. ი. ფრონ-ფონ-ბრენერი. (1—6.—1)

Дозволено цензурою, Тифлисъ 11 го Февраля 1897 г. სტამბა მ. შარაძის და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.